# საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

# ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## ბრძანება № 01-02/113

ქ. ბათუმი 13 მაისი, 2022 წელი

**ბსუ-ში 2021-2022 სასწავლო წელს გაზაფხულის სემესტრის შუალედური გამოცდების ორგანიზებულად ჩატარებისათვის გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ბსუ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 18 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის", „ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 თებერვლის №23 დადგენილებით დამტკიცებული „გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის", "ბსუ-ს რექტორის მოადგილეთა უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 26 ნოემბრის N01-02/211 ბრძანების, „ბსუ-ს რექტორის, პროფესორ მერაბ ხალვაშის თურქეთში, არტაანის უნივერსიტეტში მივლინების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 10 მაისის N01-14/62 ბრძანების საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. ბსუ-ში 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის შუალედური გამოცდების ორგანიზებულად და შეუფერხებლად ჩატარების მიზნით დაევალოთ

1.1. ფაკულტეტის დეკანებს:

ა) ჩასატარებელი გამოცდების შესაბამისი საგამოცდო მასალისა და საგამოცდო ბილეთების შინაარსობრივი და ხარისხობრივი შემოწმების ანგარიშის წარმოდგენა;

ბ) სტუდენტებისათვის გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის გაცნობის ორგანიზება;

გ) გამოცდების მიმდინარეობის, მათ შორის დამკვირვებელთა დასწრების საკითხის მონიტორინგი;

დ) ყოველდღიურად ჩატარებული გამოცდების შესახებ სამსახურებრივი ბარათის წარმოდგენა:

1.2. საგნის ლექტორებს (აკადემიურ, მოწვეულ მასწავლებელთა პერსონალს)

ა) ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით დამტკიცებული გამოცდების განრიგის შესაბამისად საგამოცდო პროცესზე დასწრება;

ბ) გამოცდის ჩატარებამდე ორი დღით ადრე საგამოცდო ბილეთების წარდგენა შესაბამის დარგობრივ დეპარტამენტში.

1.3. საგამოცდო პროცესში ჩართულ პირებს - ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 თებერვლის №23 დადგენილებით დამტკიცებული გამოცდების ჩატარების ინსტრუქციით ხელმძღვანელობა;

1.4. სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საგამოცდო ცენტრს, ფაკულტეტის დეკანებსა და მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებს, დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელებს გამოცდების ჩატარების მონიტორინგი.

1.5. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს - გამოცდებისათვის განკუთვნილ აუდიტორიებში ვიდეოთვალებისა და ვიდეო მონიტორინგისათვის გამოყოფილ სივრცეში ტექნიკის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა;
1.6. ფაკულტეტის დეკანებს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებს - გამოცდების პერიოდში, ყოველდღიურად უნივერსიტეტის რექტორისადმი სამსახურებრივი ბარათის წარდგენა გამოცდების მიმდინარეობის შესახებ, მათ შორის დამკვირვებელთა გამოცდაზე დასწრების მითითებით;
1.7. მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს - გამოცდებისათვის განკუთვნილი აუდიტორიების შესაბამისი აღჭურვა (ტექნიკა, ინვენტარის შესაბამისი განლაგება), ოთახების დროულად დასუფთავება და მოწესრიგება მომდევნო გამოცდის ჩასატარებლად.
2. გამოცდების ვიდეო მონიტორინგის მიზნით შეიქმნას დამკვირვებელთა ჯგუფები (ჯგუფის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების მითითებით) დანართი 1-ის შესაბამისად და დაევალოთ განრიგის შესაბამისად ვიდეო მონიტორინგის წარმოება. ვიდეო მონიტორინგის დამკვირვებელთა ჯგუფის ხელმძღვანელს დაევალოს ჯგუფის მუშაობის კოორდინაცია და ყოველდღიური ინფორმაციის წარდგენა უნივერსიტეტის რექტორისადმი;
3. წინამდებარე ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი დაევალოს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს (ვ. ღლონტი) და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (ი. ჩხარტიშვილი);
4. ბრძანება აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და თანამდებობის პირებს;
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე,
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30), მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორის მოადგილე, პროფესორი ა. ბერიძე

“ბსუ-ში 2021-2022 სასწავლო წელს გაზაფხულის სემესტრის შუალედური გამოცდების ორგანიზებულად ჩატარებისათვის გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ” ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 13 მაისის № 01-02/113 ბრძანების

**დანართი 1**

| კვირის დღე | სახელი, გვარი | პოზიცია | დრო(საათი) | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| ორშაბათი-16.05.2022 | გვანცა დიასამიძე | ჯგუფის ხელმძღვანელი | 10:00-14:00 | |
| | ეთერ გოგუაძე | ჯგუფის წევრი | 10:00-14:00 | |
| | მაია რესულიძე | ჯგუფის წევრი | 10:00-14:00 | |
| | ნინო ომელაშვილი | ჯგუფის ხელმძღვანელი | 14:00-18:00 | |
| | ირმა ჭიჭინაძე | ჯგუფის წევრი | 14:00-18:00 | |
| | თამილა ვერულიძე | ჯგუფის წევრი | 14:00-18:00 | |
| | ნარგიზ ვარშალომიძე | ჯგუფის ხელმძღვანელი | 18:00-21:00 | |
| | ზაზა ზერიძე | ჯგუფის წევრი | 18:00-21:00 | |
| | ლალი ბაგრატია | ჯგუფის წევრი | 18:00-21:00 | |
| სამშაბათი-17.05.2022 | მზია დიასამიძე | ჯგუფის ხელმძღვანელი | 10:00-14:00 | |
| | ირმა დიასამიძე | ჯგუფის წევრი | 10:00-14:00 | |
| | ხათუნა მიქელაძე | ჯგუფის წევრი | 10:00-14:00 | |
| | თინათინ ჭიჭვეიშვილი | ჯგუფის ხელმძღვანელი | 14:00-18:00 | |
| | ეთერ გოგუაძე | ჯგუფის წევრი | 14:00-18:00 | |
| | ნათელა სურმანიძე | ჯგუფის წევრი | 14:00-18:00 | |
| | ზაზა ზერიძე | ჯგუფის ხელმძღვანელი | 18:00-21:00 | |
| | მადონა გორგოშაძე | ჯგუფის წევრი | 18:00-21:00 | |
| ოთხშაბათი-18.05.2022 | თამარ ღოღობერიძე | ჯგუფის ხელმძღვანელი | 10:00-14:00 | |
| | ნანა ფუტკარაძე | ჯგუფის წევრი | 10:00-14:00 | |
| | ხათუნა დიასამიძე | ჯგუფის წევრი | 10:00-14:00 | |
| | არჩილ ვარშალომიძე | ჯგუფის ხელმძღვანელი | 14:00-18:00 | |
| | ირმა ჭიჭინაძე | ჯგუფის წევრი | 14:00-18:00 | |
| | ირმა ვარშალომიძე | ჯგუფის წევრი | 14:00-18:00 | |
| | ზაზა ზერიძე | ჯგუფის ხელმძღვანელი | 18:00-21:00 | |
| | თეონა მამუჭაძე | ჯგუფის წევრი | 18:00-21:00 | |
| ხუთშაბათი-19.05.2022 | ხათუნა გამყრელიძე | ჯგუფის ხელმძღვანელი | 10:00-14:00 | |
| | დიანა ცეცხლაძე | ჯგუფის წევრი | 10:00-14:00 | |
| | დარიკო ბასილაძე | ჯგუფის წევრი | 10:00-14:00 | |
| | თამთა ქარცივაძე | ჯგუფის ხელმძღვანელი | 14:00-18:00 | |
| | ეთერ გოგუაძე | ჯგუფის წევრი | 14:00-18:00 | |
| | ირმა ვარშალომიძე | ჯგუფის წევრი | 14:00-18:00 | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | მერაბ დიასამიძე | ჯგუფის ხელმძღვანელი | 18:00-21:00 | |
| | ლალი ბაგრატია | ჯგუფის წევრი | 18:00-21:00 | |
| პარასკევი -20.05.2022 | მზია დიასამიძე | ჯგუფის ხელმძღვანელი | 10:00-14:00 | |
| | თამარ თიკანაძე | ჯგუფის წევრი | 10:00-14:00 | |
| | დარიკო ბასილაძე | ჯგუფის წევრი | 10:00-14:00 | |
| | მარიამ ბოლქვაძე | ჯგუფის ხელმძღვანელი | 14:00-18:00 | |
| | მანანა კუჭავა | ჯგუფის წევრი | 14:00-18:00 | |
| | მადონა გორგოშაძე | ჯგუფის წევრი | 14:00-18:00 | |
| | ზაზა ბერიძე | ჯგუფის ხელმძღვანელი | 18:00-21:00 | |
| | ლალი ბაგრატია | ჯგუფის წევრი | 18:00-21:00 | |
| შაბათი- 21.05.2022 | თამარ ღოღობერიძე | ჯგუფის ხელმძღვანელი | 10:00-14:00 | |
| | თამილა ვერულიძე | ჯგუფის წევრი | 10:00-14:00 | |
| | ნანა ფუტკარაძე | ჯგუფის წევრი | 10:00-14:00 | |
| | გვანცა დიასამიძე | ჯგუფის ხელმძღვანელი | 14:00-18:00 | |
| | თამილა გოგიტიძე | ჯგუფის წევრი | 14:00-18:00 | |
| | მადონა გორგოშაძე | ჯგუფის წევრი | 14:00-18:00 | |